F2751 ~ 13862

ეროვნული ბიბლიოთეკა

წლიწადი მეორე

«საქართველო უწინარეს ყოვლისა»

# თეთრი გიორგი

სამშობლოს არვის წავართმევთ,
ჩვენც ნურვინ შეგვეცილება,
თორემ ისეთ დღეს დაგაყრით,
მკვდარსაც კი გაეცინება...

ვაჟა.

პარიზი
ივლისი 1927 წ.
N. 6

ქართველ პატრიოტთა ორგანო «თეთრი გიორგი»

„St-GEORGES". Journal de l'organisation des Patriotes Georgiens

N° 6.
Juillet 1927
PARIS

* * *

ბევრს «თეთრი გიორგი» საერთო ფრონტის წინააღმდეგი ჰგონია. უდიდესი შეცდომაა. ჩვენ არამც თუ საერთო ფრონტის წინააღმდეგნი არა ვართ, არამედ მზად ვართ მივიღოთ მონაწილეობა მთელი ჩვენი ენერგიით, ჩვენი დისციპლინით თუ ის იქნება საღ ეროვნულ ნიადაგზე დამყარებული.

დღეს საუბედუროდ ასე არ არის. საერთო ფრონტი თავის დღევანდელ სახით ეროვნულ საქმისთვის უფრო მავნეა, ვიდრე სასარგებლო. დღეს საერთო ფრონტი არ არის ისეთი ხასიათის რომ მასთან ყველა ქართველს განურჩევლად მისი პოლიტიკური მრწამსისა შეეძლოს თანამშრომლობა; დღევანდელი ფრონტი პარტიათა და არა ქართველთა ფრონტია. მას საფუძვლად უდევს დემოკრატიული პრინციპი რომელიც განზე დაწინდაწინვე სთიშავს მას ვინც ამ პრინციპს არ იზიარებს, ვინც არ აზროვნებს ისე როგორც სოციალ დემოკრატების ფანატიკოსები და ფედერალისტების ხოჯები. საერთო ფრონტი საქართველოს დამოუკიდებლობას უქვემდებარებს ამ პრინციპს და მით შეურაცყოფს დამოუკიდებლობის თვით იდეას. საერთო ფრონტს არ უნდა ჰქონდეს [illegible] და პარტიათა პოლიტიკური ფერი. ერთად ერთი შემაერთებელი იდეა და მიზანი უნდა იყოს — ქართველთა გაერთიანება დამოუკიდებლობისათვის.

გარდა ამისა უდიდესი ნაკლი საერთო ფრონტისა კიდევ ის არის რომ მთელი აპარატი პრაქტიკულ საქმიანობისა მხოლოდ სოც.—დემ. პარტიის ხელშია. საერთო ფრონტი მხოლოდ სოც.-დემ. პარტიულ ინტერესებისათვის გამოსაყენებელი რგოლია, და კიდევაც იყენებენ და ფართოდაც. საერთო საქმე კი მოითხოვს წინააღმდეგს. მთელი პრაქტიკული მუშაობა საერთო ფრონტის უმაღლეს ორგანოს ხელში უნდა იყოს, რომელსაც უნდა ემორჩილებოდეს მთავრობა. თუ აქამდის ქართულ საზღვარგარეთულ პრესაში მხოლოდ გაზეთი «თეთრი გიორგი» იყო წინააღმდეგი დღევანდელ საერთო ფრონტისა დღეს ნ. რამიშვილის ცნობილმა წერილმა ყველას თვალები აუხილა. ჩვენ მარტონი აღარ ვართ და დღეს ჩვენთან ერთად არის ქართულ საზოგადოების აზრი.

დღეს ყველა ქართველ პატრიოტის, ყველა მამულიშვილის სახელით, ყველა მათი სახელით ვისაც სამშობლოსათვის მრავალი წლები უმუშავნია, მოვითხოვთ კატეგორიულად უკომპრომისოდ საერთო ფრონტის დაუყონებლივ რეორგანიზაციას. დავძენთ რომ ამ მოთხოვნილებას მხოლოდ გაზეთში წერილებით არ განვსაზღვრავთ, არამედ ეროვნულ მიზნის მისაღწევად მივიღებთ საჭირო პრაქტიკულ ზომებს.

ამ ბრძოლაში ჩვენთან იქნებიან საუკეთესო მამულიშვილნი რომლებისაგან ყოველ დღე მოგვდის თანაგრძნობის წერილები და აღთქმა ჩვენთან ერთად იყვნენ ბოლომდის, სანამ საერთო ფრონტი არ გამოვა დღევანდელ სამარცხვინო მდგომარეობიდან და არ დადგება ეროვნულ გზაზე.

დროა, ქართველებო, შევერთდეთ ერთ ნამდვილ და საღ ეროვნულ ორგანიზაციაში, ჩრდილოეთიდან შემოსულ ყაჩაღების წინააღმდეგ საბრძოლველად!

* * *

ამას წინად ერთ გონიერ და ნიჭიერ ქართველ ქალთან გვქონდა ლაპარაკი. უნდა აღვნიშნოთ, ეს ქალი განსორციელებაა ქართველ ქალის და დედის ამ სიტყვის მთელი თავისი ისტორიულ და ზნეობრივ მნიშვნელობით. ამ ქალისვე თხოვნით აუხსენით მას თეთრი გიორგის მნიშვნელობა და იდეოლოგია. — "იცით რა? -გვითხრა- ასე მგონია, რომ თქვენ ყველა ეგ აზრები მე მომპარეთ. ის რაც თქვენ მითხარით, მე მგონია, გულში მაქვს, დიდი ხანია მწამს. თქვენი პრინციპები, ზოგი გარკვეულად, ზოგი გაურკვევლად ყოველთვის მწამდა."

დიახ, ქართველო ქალო! ჩვენი ძალა სწორეთ იმაში მდგომარეობს რომ ჩვენი მსოფლ მხედველობა რომელიმე უცხოელ მეცნიერის კაბინეტში არ არის შექმნილი. ჩვენ უცხო ქვეყნიდან არ შემოგვაქვს უცხოეთის ნერგი და მისთვის შეუფერებელ საქართველოს მიწაში არა ვრგავთ. პირიქით, თეთრი გიორგის მცენარე საქართველოს შვილია, თვით საქართველოს მიწაზე ამოსული. ჩვენი იდეები ბუნებრივად გამომდინარეობენ საქართველოს ცხოვრების საჭიროებიდან და სინამდვილედან; საქართველოს წარსულიდან და აწმყოდან. ჩვენი იდეები გარკვევით თუ ბუნდოვანად, შეგნებით თუ ინსტიქტიურად ყველა ნამდვილ ქართველის გულშია. ჩვენი ძალა იმაშია, რომ საქართველო მის ინტერესებს და ობიექტიურ პირობებს აუცილებლად თეთრი გიორგის გზაზე მიჰყავს. არ მოიძებნება ქართველი, თუ კი ის მოსკოვის სიბინძურით არ არის მოწამლული, ჩვენებრ არ აზროვნებდეს.

მართლაც, რას ვამბობთ ისეთს, პატრიოტმა რომ არ იწამოს? აი რამდენიმე სიტყვით ჩვენი იდეოლოგია: 1) საქართველო უწინარეს ყოვლისა; 2) საქართველოს კულტურულ ზნეობრივი აღორძინება, როგორც საჭირო საფუძველი მისი წინსვლისა და ეროვნული განმტკიცებისა; 3) კლასთა ბრძოლის მოსპობა და შექმნა კლასთა სოლიდარობის, რადგან ეს შეეფერება ჩვენ ისტორიულ ტრადიციებს და ჩვენ ეროვნულ მდგომარეობას და მეორე მხრივ ეს სოლიდარობა არის [illegible] 4) კლასთა ჰარმონიული თანამშრომლობა პოლიტიკურ და ეკონომიურ თანასწორობის ნიადაგზე, რადგან დღევანდელი [illegible]ზაცია მყარდება ამ ახალ ეკონომიურ თანასწორობის პრინციპზე; 5) საქართველოს სახელმწიფოს ორგანიზაციის დამყარება ეროვნულ სინამდვილის ნიადაგზე; სამართალი უნდა იყოს სარკე ერისა, ასე გვასწავლიდა გამოჩენილი იურისტი პუხტა; აგრეთვე სახელმწიფოც სარკე უნდა იყოს რომელშიც აშკარად გამოჩნდება ერის ფიზიონომია. უცხოეთიდან გადმოღებული კონსტიტუციები და სახელმწიფოს წყობილებები ყოველთვის ერის დამღუპველია. ჩვენი კონსტიტუცია უნდა იყოს შეგუებული ქართველი ხალხის ადათებთან, ისტორიასთან, ჩვენ დღევანდელ კულტურულ დონესთან; კლასთა გარეშე მდგომ ეროვნულ სახელმწიფოს შექმნა.

სახელმწიფო უნდა იყოს ეროვნული, რათა შესძლოს კლასთა თანასწორობის შექმნა და მათ შუა აღძრულ კონფლიქტების მორიგება. ამ იდეებს ჩვენ შევიტანთ ქართულ მოაზროვნე საზოგადოებაში, ქართულ მასებში და მომავალი საქართველო აუცილებლად თეთრი გიორგული იქნება.

## მარქსის გაკოტრება.

მარქსი თავის «კაპიტალს»ში დაასკვნის: « რამდენათაც კაპიტალის « დიდებულთა » (დიდ კაპიტალისტთა) რიცხვი მცირდება, იმდენათ მუშების სიღატაკე იზრდება» ე.ი. იმ ქვეყნებში სადაც კაპიტალისტური წარმოება უფრო განვითარებულია მუშათა მატერიალური მდგომარეობა უფრო ცუდ პირობებში იმყოფება. ეს დებულება მარქსის უმთავრესი დებულებაა და დასკვნაა მთელი მისი ეკონომიური სისტემის.

რასაკვირველია მარქსის ეს დებულებაც, როგორც ყველა სხვა მისი დებულებები, ცხოვრების სინამდვილემ გააბათილა.

ჩვენ გაზეთ «თეთრ გიორგის» მეოთხე ნომერში დავანახვეთ მკითხველს რომ კაპიტალისტთა რიცხვი შეერთებულ შტატებში რომელიც უდიდესი კაპიტალისტური ქვეყანაა კი არ მცირდება, როგორც ეს ეგონა მარქს, არამედ იზრდება და თვით მუშებიც კი კაპიტალისტებათ ხდებიან.

ამ წერილში ოფიციალურ სტატისტიკის საშუალებით დავინახავთ მართალია თუ არა მარქსის აზრი, რომ სად აც კაპიტალისტური წარმოება უფრო განვითარებულია იქ მუშათა კლასი უფრო დიდ გაჭირვებას განიცდის, თუ სინამდვილეში ხდება დიამეტრალურად წინააღმდეგი მოვლენა?

ფორდის ქარხანაში, (ამერიკაში) მექანიკი—მუშა კვირაში მუშაობს მხოლოდ 5 დღეს, დღეში არა უმეტეს 6 საათისა იღებს 1 5 0 დოლარს თვეში ე. ი. დაახლოვებით 3750 ფრანკს მაშასადამე საათში 31 ფრ. 30 სნტ. უნდა აღვნიშნოთ, რომ შეერთებულ შტატების ყველა ქალაქებში არსებობს პანსიონები სადაც მუშას ან საშუალო მოხელეს თვეში 48 დოლ. შეუძლია იქონიოს მშვენიერი ოთახი აბანოთი, სასმელ საჭმელით და საცვლების დარეცხით. ამ პირობებში მუშას ადვილად შეუძლია შეინახოს თვეში 80 დოლარი და ამნაირად სამ თვე ნახევარში შეიძინოს პატარა ავტომობილი, რომელიც იშვიათად მუშას თუ არა აქვს ამ დიდ კაპიტალისტურ ქვეყანაში. ამავე ფორდის ქარხანაში არიან იმისთანა მუშები, რომლებიც დღეში 8 დოლ. და მეტსაც იღებენ.

არავინ იფიქროს, რომ ასეთი მაღალი ხელფასი მხოლოდ ფორდის მუშებსა ჰქონდეთ; პირიქით, ზოგ ქარხნებში მუშათა ხელფასი ფორდისაზე უფრო მაღალია. სხვათა შორის ჩვენ ქვემოდ მოგვყავს the Monthly Labor Review-ის სტატისტიკა. ეს ორგანო შეერთებულ შტატების ოფიციალურ სტატისტიკის ორგანოა და მისი ცნობები აბსოლიუტურად სწორი არის. ატლანტაში (ამერიკის ერთ ერთი შტატია) სადაც მუშის ხელფასი ამერიკის ყველა სხვა შტატებზე დაბლა დგას, უბრალო მეაგურე მუშაობს 44 საათს კვირაში და იღებს 1.188 ფრანკს ე.ი. 4752 ფრანკს თვეში, მაშინ როდესაც ფრანგის მეაგურე პარიზში 48 სამუშაო საათში იღებს მხოლოდ 156 ფრანკს ე.ი. ამერიკის მუშაზე 7,61 ჯერ ნაკლებს. სხვა შტატებში იგივე მეაგურე იღებს საათში ბევრად მეტს, მაგალითად Saint-Louis-ში მეაგურე იღებს საათში 175 ცენტს.

უბრალო დურგალი (არა სპეციალისტი) 44 სამუშაო საათში იღებს 1633 ფრანკს ე.ი. თვეში: 6532 ფრანკს.

უბრალო ტელეგრაფისტი იღებს საათში 150 ცენტს.

შენობის მღებავი ჩიკაგოში საათში 150 ცენტს, ნიუ-იორკში: -132 ცენტს და ამერიკის ყველა სხვა ქალაქებში 100 ცენტს. კალატოზი იღებს ვაშინგტონში 172 ცენტს საათში ე.ი.: 2079 ფრანკს 44 საათის სამუშაოში, რაც შეადგენს თვეში 8316 ფრანკს. ცინკზე მომუშავეს ხელფასი საათში სულ უმცირესი 143,8 ცენტია საათში, ქვის მთლელი ნიუ-იორკში იღებს საათში 137 ცენტს და სხვა და სხვა.

ამნაირად ცხოვრების სინამდვილემ სამარცხვინოდ გააკოტრა მარქსის ფანტასტიური თეორიები.

ზემოთ მოყვანილ სტატისტიკიდან შეიძლება მხოლოდ შემდეგი დასკვნის გამოყვანა: მუშათა მატერიალური მდგომარეობა მჭიდროდ დაკავშირებულია ერის ეკონომიურ მდგომარეობასთან.

ამერიკაში 120 მცხოვრებზე მხოლოდ 2 სოციალისტი დეპუტატია პარლამენტში ე.ი. ერთი დეპუტატი 60 მილიონ სულზე. საქართველოში კი 2 ½ მილ. მცხოვრებზე 125-ზე მეტი დეპუტატი იყო. რატომ? იმიტომ რომ შეერთებული შტატები არის მდიდარი და ძლიერი ქვეყანა, მისი ინდუსტრია სდგას განვითარების უმაღლეს საფეხურზე.

მისი მიწადმოქმედება ინტენსიური და რაციონალურია, მცხოვრებნი ეროვნულად შეგნებულნი არიან. საქართველო კი როდესაც ის შეუდგა სახელმწიფოებრივ ცხოვრებას 1918 წელს ახლად გამოსული იყო 120 წლის მონობიდან, რომელმაც დასცა ქართველი ერი ეროვნულად, ზნეობრივად, და სა-

ფეოდალურად;საქართველო იყო ღარიბ ღატაკი, მისი მოსახლეობა პრიმიტიული და მას არა ჰქონდა არც ინდუსტრია, განვითარებული კომერცია, არც გზები არც განათლება.

და ამ დაავადმყოფებულ ეროვნულ ორგანიზმზე გაჩნდენ საშინელი მიკრობები: სოციალისტები. აი რით აიხსნებოდა ჩვენში ის სოციალისტური ეპიდემია რომლის უდიდესი გამომამჟღავნებელი და მიკრობიოლოგიური ინსტიტუტი იყო ჩვენი პარლამენტი.

მაგრამ ჩვენი ქვეყნის ეროვნულ, ეკონომიურ და ზნეობრივ. გაჯანსაღებასთან ერთად მოისპობიან ეს მიკრობებიც.

საქართველოს ბევრი ავადმყოფობა მოუხდია და მარქსიზმის განგრენასაც მალე მოიხდის.

ეკონომისტი

---

შეცდომების გასწორება:
დაწერილია: ამერიკაში 120 მცხოვრებზე...
უნდა იყოს: — ამერიკაში 120 მილიონ მცხოვრებზე...

---

## მორიგი მუხანათობა.

ჩვენთვის ბ. ნ. რამიშვილის წერილი მოულოდნელი არ იყო. ჩვენ მხოლოდ გაგვაკვირვა თვით „ჩავარდნის“ ინციდენტმა: რა ბავშურის სიმჩატით ჩაუგდებს ხელში მტრებს ჩვენმა „ბრძოლის ორგანიზატორებმა“ ასეთი მნიშვნელოვანი საბუთები. ჩვენ ვიცოდით, სოც. დემოკრატები უხეირონი იყვნენ ყოველგვარ დადებით საქმიანობაში, (დანგრევაში, იცოცხლეთ, მარჯვენი არიან) მაგრამ ასეთი უხეირონი მაინც არ გვეგონენ.

ჩვენთვის ამ წერილს იმდენათ აქვს მნიშვნელობა, რამდენად ის კიდევ ერთი ზედმეტი საბუთია სოც. დემ. ვერაგობისა. ეს ვერაგობა ვინც მათ კულისებში მუშაობას არ იცნობდა, არა სჯეროდა. დღეს კი, ვისაც სურს სიმართლის დანახვა, თვალწინ აქვსი.

ბ. ნ. რამიშვილის წერილი საუკეთესო დამახასიათებელია სოც. დემოკრატების სულისკვეთების და მისწრაფების.

მასში ცინიკური გულწრფელობითაა გამოხატული ამ სექტანტურ პარტიის მიზანი: ყოველივე და ყველაფერი უნდა მიეტანოს მსხვერპლად სოციალ დემოკრატიულ ფეტიშს.

და ამ მიზნის მისაღწევად უნდა იყოს მიღებული ყოველგვარი საშუალება გინდაც ეს საშუალება იყოს ღალატი, მუხანათობა, შარლატნობა, ცილის წამება, სამშობლოს დაღუპვა. აკი მართლაც, ამ წერილში აშკარად ვხედავთ ყველა ამ დანაშაულს. აქ აშკარად გამოთქმულია მიზანიც და საშუალებაც. რა არის მიზანი? პარტიული დიქტატურა და დღევანდელი მთავრობის ხელახლა გაბატონება. და აი საშუალებები: ბ. ნ. რამიშვილი თავის აგენტს ავალებს ვინაიდან ეროვნულ დემოკრატებს საქართველოში აღარავითარი ორგანიზაცია არა აქვთ, იქვე სადმე შენთან შენვე მოუწყე ცენტრი, რომ ამ ცენტრმა გვაზავას და ამირეჯიბს ზურგი გაუმაგროსო. ე. ი. ბ. რამიშვილს სურს ფიქტიური ცენტრის შექმნა. ამ ფიქტიურმა ცენტრმა უნდა ყალბი და ფიქტიური მანდატები გამოუგზავნოს ზემოდ აღნიშნულ ზურგ გასამაგრებელ პირებს. იურიდიული ენით რომ ვსთქვათ, ეს არი შარლატნობა. რად დასჭირდათ სოც. დემ. ეს შარლატნობა? იმიტომ რომ, შეეკოწიწებინათ ეს ფიქტიური „საერთო ფრონტი“ რომელიც მათ შექმნეს მხოლოდ და მხოლოდ თავის პარტიულ მიზნების მისაღწევად.

— ამ წერილის მიხედვით ბოლშევიკების დაცემისთანავე უნდა შესდგეს დროებითი მმართველობა. მაგრამ გაჩნდება თუ არა ნ. ჟორდანიას მთავრობა, მართვა-გამგეობის ხელში უნდა გადავიდეს. ეს არის ნამდვილი ღალატი მუხანათობა, ღალატი ყიზილბაშური, რომელიც შადიმან ბარათაშვილს, ანდუყაფარ ამილახვარს და კონსტანტინე ბატონიშვილსაც კი შეეზიზღებოდათ.

საერთო ფრონტის ხელშეკრულების ძალით არც ერთ პარტიას საქართველოს მომავალ მთავრობაში ერთ მესამედზედ მეტი წევრები არ უნდა ჰყოლოდა და ნ. ჟორდანიას მთავრობა კი პასუხისგებაში უნდა ყოფილიყო მიცემული. მაგრამ ეს იყო ხელშეკრულება და არც ერთი ხელშეკრულება არასდროს ჩვენ სოც.-დემ. არ შეუსრულებიათ. ან რად უნდა შეასრულონ? ყოველივე ხელშეკრულების საფუძველი ან კანონია ან ზნეობა. მარქსისტებს კი არც ერთი და არც მეორე არა სწამთ. კანონი მათის მცნებით ბურჟუათა მოგონილია რაღაც ბოროტ განზრახვებით, ზნეობა კი, მესაკუთრე კლასის და არისტოკრატიის შეთითხნილია ხალხის მოსატყუებლად.

ერთ ერთი წევრიც კი მთავრობისაო, (იგულისხმეთ ნ. რამიშვილი) გაჩნდება თუ არა საქართველოს ტერიტორიაზე, მაშინვე მალა უფლება მას უნდა გადაეცესო, განაგრძობს წერილი ე.ი. სოციალ დემოკრატებს სურთ დიქტატურის გამოცხადება. ამის შემდეგ ეს ვაჟბატონები სხვებს უკიჟინებენ დიქტატორობის სურვილს. როსკიპ ქალმა იცის; პატიოსან მანდილოსანს რომ წაეჩხუბება: აი, შე როსკიპო!— მიამაზებს, რათა მან არ დამასწროსო. ნოე რამიშვილის წერილში საუკეთესო ქართველი პატრიოტები ბოლშევიკების აგენტებად არიან გამოყვანილნი. ეს ცილისწამება რომ უკიდურესად ბინძური არ იყოს, სასაცილო იქნებოდა.

ვინ,—ვის უწოდებს ბოლშევიკებს? ისინი ვინც მთელი 20 წლის განმავლობაში იყვნენ ლენინთან, ტროცკისთან, ორჯონიკიძესთან, ორახელაშვილთან და სხვა ასეთ მოღალატე და ყაჩაღებთან ერთად ერთი და იმავე პოლიტიკური პარტიის წევრები; რომლებიც ამ ბანდიტებს ამხანაგებს უწოდებდენ და დღესაც მათსავით მარქსისტები არიან, რომლებსაც მათსავით არა სწამთ არც სამშობლო, არც პატრიოტიზმი და დარწმუნებულნი ვართ მალე ბოლშევიკებს როგორც წინათ, ამხანაგურად, რომელიმე სოციალისტური ინტერნაციონალში შეხვდებიან და მათთან ითანამშრომლებენ კულტუროსან საზოგადოების და ცივილიზაციის დანერგვის საქმეში; რომლებმაც პირველად შექმნეს «სოვეტები»; რომლებიც ქეციან კერენსკის დიქტატურის ყურმოჭრილი ყმები იყვნენ და საქართველოს ავტოკეფალიასაც კი არ აძლევდენ.

და მერე ვის ნათლავენ ბოლშევიკების აგენტებად?

მიხ. წერეთელს,— მას ვინც მთელი 25 წლის განმავლობაში იბრძოლა სამშობლოსათვის, რომელსაც შესწირა მთელი თავისი ძალა, ტანი, კარიერა და პირადი ცხოვრება;

ქაქუცა ჩოლოყაშვილს,— ვინც მთელი ოთხი წლის განმავლობაში იარაღით ხელში, შეუდარებელი სიგმირით იბრძოლა სამშობლოსათვის და შესწირა მას ყოველივე ის რაც მისთვის უძვირფასესი იყო; ს. კედიას, ვინც 15 წლის განმავლობაში სათავეში უდგია ეროვ-დემ პარტიას; ა. ასათიანს, რომელიც აგრეთვე ცნობილია თავის ენერგიული და დაუღალავი მუშაობის სამშობლოსათვის; ღენ. კვინიტაძეს, რომელიც სამჯერ იყო ქართველი ჯარის მთავარ სარდლად, ორჯელ იხსნა საქართველო მტრის შემოსევიდან, აღზარდა და გაწრთვნა ჩვენი ისტორიისთვის დაუვიწყარი სამხედრო სკოლა; ღენ. ლეო კერესელიძეს, მას ვინც პირველმა დაღვარა სისხლი სამშობლოს თავისუფლებისათვის და 1822 წლის შემდეგ, მას შემდეგ რაც მებრძოლ საქართველოს გავარდა ხელიდან ხმალი, პირველმა აიღო ეს ხმალი და იყო პირველი სარდალი საქართველოს პირველი ჯარისა!

და რამდენ სხვა საუკეთესო პატრიოტებს სცხებენ ჩირქს ეს „ისტორიის საზიზღარნი“ როგორც მათ სამართლიანად უწოდა ცნობილმა პოეტმა გვიდემელმა ი. ჭავჭავაძის სადღეღ-ლობის გამო.

საუკეთესო მამულიშვილნი გამოიყვანეს მოღალატეებად და ვიღა დარჩნენ სამშობლოს მხსნელებათ და ერთგულებად? მარვალ ჩავარდნილი სოციალ დემოკრატები? ეს რუსის ღვდლებისაგან აღზრდილნი ბურსაკები? გოდრის პროპაგანდისტები? გუშინდელი რუსის ხულიგნები და მოსკოვის მატრფიალენი? მაგრამ ამ წერილში უსაზიზღრესი არის ის, რომ საქართველოს წინდაწინვე სამოქალაქო ომს უმზადებს, ჰყოფს და ერთმანეთზე ამხედრებს ქართველთა ძალებს, — როცა შეერთება და შეკავშირება არის საჭირო ეროვნულ ბრძოლის საქმეში.

ნ.რამიშვილი და მისი წერილი არიან პირველი განხორციელება და მეორე სარკე ჩვენი სოც.-დემ. ფიზიონომიის და სულის. «კოკასა შინა რაცა სდგას, იგივე წარმოსდინდების». ვისი მსოფლ მხედველობის მთავარი საფუძველი კლასთა ბრძოლაა, —ეს უდიდესი სოციალური დანაშაულობა — მხოლოდ სამოქალაქო ბრძოლას მიანიჭებენ ჩვენ ქვეყანას; მათ, ვისაც არა სწამთ ზნეობა და ჯვარი, ყოველნაირ მუხანათობას ჩაიდენენ; მათ ვისაც არ სწამთ სამშობლო და ეროვნული საზღვრები (ნახე მარქსის კომუნ. მანიფესტი და ერფურტის პროგრამა) ყოველთვის ერის პუნებრივი მტრები იქნებიან, რადგან არ შეიძლება დაცვა მისი, რაც არა გწამს.

ვისი მოძღვრება კლასთა დიქტატურაზე არის დამყარებული ქვეყნის მართვას მხოლოდ კლასიურ დიქტატურის და მაშ სადამე ტირანიის და ტერორის საშუალებით შესძლებენ; ვინც მთელ 35 წლის განმავლობაში რუსეთის ტილიან დემოკრატიას ანაცვალეს საქართველო, პირველსავე შემთხვევაში რუსეთისაკენ მიაბრუნებენ პირს; კერენსკის ყოფილი ლაქიები სულით მუდამ მდაბალნი დარჩებიან.

არა, ამისთანა პირნი ვერ შესძლებენ ქვეყნის გამოლას. მათ ერთხელ უკვე დაღუპეს საქართველო; დღეს ევროპაშიც საქართველოს პოლიტიკა ყალბი გზით მიჰყავთ და მომავლისთვის სამოქალაქო ომს გვიმზადებენ.

რედაქცია.

---

## რუსეთი და 1

ჩვენში, დღესაც, მიუხედავად იმ ბარბაროსულ სურათისა, რომელიც დაანახვა კაცობრიობას რუსეთის რევოლუციამ და ბოლშევიზმმა, გავრცელებულია აზრი ვითომ რუსის ხალხი კულტუროსანი იყოს და მისი ცივილიზაცია ევროპისას შეედრებოდეს. ამითი ზოგი ამართლებს ჩვენში რუსოფილურ მიმართულებას. ამ აზრისა არიან არა მარტო შეუგნებელი ან უსწავლელი პირები, არამედ, და უფრო ხშირად, ევროპში წრთობილი ინტელიგენტები. ასეთი შეცდარი აზრი მეტად საშიში და მავნეა ქართველ ხალხისათვის, როგორც პოლიტიკურად ისე კულტურულად და აკი კიდეც, ორთავე შემთხვევაში, გამოიღო მან ჩვენი ქვეყნისთვის დამღუპველი ნაყოფი.

ჩვენ მიზნათა გვაქვს შევებრძოლოთ ამ მოვლენას, რადგან სინამდვილე წინააღმდეგს გვეუბნება.

რუსის ხალხი კულტუროსანი კი არა, ყოველივე კულტურას მოკლებულია, დგას უმდაბლეს საფეხურზე ზნეობრივ და გონებრივ განვითარებისა. დროა სცნოს ეს ქართველმა ხალხმა, დროა ამაზე ყველა შეგნებულმა პატრიოტმა ხმა მაღლა და გაბედულად დაილაპარაკოს. ჩვენ ვიღებთ კალამს ამ მიზნით და იმედი გვაქვს ობიექტიური ანალიზით დავანახვოთ სიმართლე მას ვისაც სურს მისი დანახვა.

საქართველომ განვლო ვრცელი პროცესი აღმოსავლეთის ცივილიზაციისა, მის განვითარების მსვლელობაზე იქონიეს გავლენა უმაღლეს კულტურის ხალხებმა: ასურო-ბაბილონებმა, სპარსელებმა, არაბებმა, ბიზანტიელებმა და სხვათა...

ეს გავლენანი ქართველმა ხალხმა შეითვისა თავისებურად, გადახარშა ეროვნულად და შექმნა თავისი ორიგინალური ქართული კულტურა, გამოხატული მის მწიგნობრობაში რომელმაც მე 11-ე და 12-ე საუკუნეებში მიაღწია უმაღლეს განვითარებას, გამოხატული მის მშვენიერ და კეთილშობილ ხუროთმოძღვრებაში, მეცნიერებაში, ლიტერატურაში და სხვა და სხვა დარგში, რომელიც საქართველოში ჩრდილოეთის ბარბაროსთა შემოსევამდე მაღალ საფეხურზე იდგა. ბოლოს დადგა ეპოქა აზიის ხალხთა დაღლისა და დასუსტებისა. აღმოსავლეთის ერთა დიდი ცივილიზაციები ლამპრებივით ჰქრებოდნენ და მათთან ერთად ეხობოდნენ მათი შემქნელი ერები.

თითქმის აზიის ყველა ერი გახდა მსხვერპლი ამ მოვლენისა. მხოლოდ ქართველ ერში ღვიოდა საკმარისი სიცოცხლის ძალა ახალი გზის საპოვნელად კულტურულ და ეროვნულ არსებობისათვის.

საქართველოს სულიერ და გონებრივ განვითარებისათვის აღმოსავლეთი საკმარისი საზრდო აღარ იყო და მან უკვე მე 16-ე მე 17-ე საუკუნოებში მიაპყრო თვალი დასავლეთს. იქ ახალი ცივილიზაცია აყვავების ხანაში იყო და მშვენივრად იფურჩქნებოდა, იქ საქართველოს ეპოვნა ახალი საზრდო და ძალა თავის ეროვნულ სიცოცხლისათვის.

ხიდათ ევროპის კულტურისაკენ ჰქონდა ქრისტიანობა და კიდეც ემზადებოდა ამ ხიდზე გასასვლელად. ამისთანა გზის არჩევას აუცილებლად უნდა მოჰყოლოდა საქართველოს დიდი მეტამორფოზა პოლიტიკურად, სოციალურად, სულიერად, და გონებრივად. საჭირო იყო თანდათანობითი, ევოლუციონური გადასვლა ერთ კულტურულ ფარგლებიდან მეორეში, მით უმეტეს რომ ეს ორი კულტურა მიუხედავად საერთო ძირითადი პრინციპისა, ერთმანეთისაგან მაინც განსხვავდებოდა.

ცხადია, ერი, რომელმაც განვლო მრავალი საუკუნენი კულტურულ და პოლიტიკურ განვითარებისა, არ შეცდებოდა ახალი ცივილიზაციის მიღების მეთოდში და მას ევოლუციურად შეითვისებდა.

მართლაც, თუ დაუკვირდებით, პირველი ნაბიჯები ევროპის კულტურისაკენ საქართველომ გაზომილათ და დინჯათ გადადგა. საუბედუროდ მხოლოდ პირველი ნაბიჯები ჰქონდა გადადგმული, როდესაც რუსეთი გადაეღობა გზაზე; სწორედ ამ გარდამავალ ხანის დასაწყისში საქართველო უვარდება რუსეთს ხელში. ეს იყო დიდათ საშიში მომენტი ჩვენი ქვეყნისათვის, რადგან ჯერ კიდევ აზიური საქართველო, დაგრძავებული რუსეთის გარეგნული ბრწყინვალებით, ხედავდა მასში დასავლეთის კულტურის მატარებელს და ეს შეცდომა ძვირადაც დაუჯდა.

რა შედეგი მოჰყვა საქართველოსთვის რუსეთის ბატონობას კულტურული თვალსაზრისით, ამაზე შემდეგში.

ლეო კერესელიძე.

(გაგრძელება იქნება)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## ალექსანდრე ბატონიშვილის საღამო და მისი მნიშვნელობა.

11 ივნისს პარიზში ცნობილ *Lutetia* ს დარბაზში თეთ-რი გიორგიმ გამართა ალექსანდრე ბატონიშვილის საღამო. კონტა დარბაზს ამშვენებდა ბატონიშვილის სურათი ცოც-ხალ ყვავილებით შემკული. საღამოს გახსნისთანავე ეროვ-ნული ჰიმნის შესრულების დროს ბატონიშვილს სალამი მისცა გ. ქ. ჩოლოყაშვილის ღრმა შეფიცულმა ხმლით, ეროვ-ნულ ტანისამოსში.

ბატონიშვილი ადიდებს და უგუშაგებს მათ, ვინც განაგრძეს მის მიერ დაწყებული დიადი ბრძოლა.

თეთრი გიორგის მთავარი მდივნის გ.ვ. ციცქიშვილის მო-კლე მისალმების შემდეგ წაკითხულ იქმნა მილოცვები ევრო-პის ხვა და სხვა ქალაქებიდან: მათ შორის განსაკუთრებუ-ლი ყურადღების ღირსია მილოცვები ბ. მიხეილ წერეთლის, ბერლინის ქართული კოლონიის თავმჯდომარე გ.გ. კერესე-ლიძის, ბერლინის თეთრი გიორგის, სტუდენტთა კავშირის და სხვა.

მეტად მგრძნობიარე და შინაარსიანი სიტყვა წარმოსთ-ქვა ბ. ლიუგემ, ავტორმა ახლად გამოცემულ პოპულიარულ შრომის «მოსკოვი და წამებული საქართველო», რის შემ-დეგ ბ. ლეო კერესელიძემ ცოცხალ და ჩვეულ მჭერმეტყვე-ლური ენით გააცნო დამსწრეთ ბატონიშვილის პიროვნება. «ალექსანდრე ბატონიშვილი უდიდესი და უმშვენიერესი გა-მომხატველია საქართველოს უკანასკნელი საუკუნის, ამ-ბობს ორატორი, ეს დიდებული გმირი არამც თუ სულიერად, არამედ ფიზიკურადაც კი გამომხატველია საქართველოს ხვედრის, ფსიქოლოგიის და განცდების.... დააკვირდით მის სურათს; შავ ბედის წერას თავისი ფატალური ხელით მისი შუბლი ჭმუნვის და სევდის ნაოჭებით დაუღარია, რით წინ-დაწინვე აღუნიშნავს მისი მომავალი ხვედრი. მის შეკუმ-შულ [illegible] საქართველოს ასი წლის [illegible] მწა-რე ირონია. წინამორბედ გრძნობას მისი ღრმა და მისტერი-ულ თვალებში ჩაუსახავს მის მიერ განცდილი 40 წლის ტან-ჯვა და საქართველოს შავი ბედი, მაგრამ ამავე დროს ეს თვა-ლები საქართველოს თვალებია... ბატონიშვილო! შენ ვერ იხსენი შენ სიცოცხლეში შენი სამშობლო და ვერ გახდი მის მეფედ, მაგრამ დაიღე უდიდესი გვირგვინი, შენა ხარ მეფე მთელი საუკუნის ბრძოლის და სულისკვეთების»

აქ ორატორი ხსნის საქართველოს რუსეთთან შეერთების ხასიათს და მიზეზს. შემდეგ მოჰყავს 1802-4-6 და 1808-12-13 წლების აჯანყებათა ისტორია საქართველოში.

ყოველივე ეს დამარცხდა, განაგრძობს ბ.კერესელიძე,რიც-ხვის და სიმხეცის წინაშე სიგმირე უძლური გამოდგა. მაგრამ დამარცხდა დროებით. 1812 წელს თელავის ციხეში გამაგრე-ბული მეამბოხენი სწერდენ რუსებს:თქვენსა და ჩვენს შო-რის ყოველივე გათავდა. ჩვენი მორიგება აღარ შეიძლება»ო, ეს იყო მაშინ ხმა მთელი საქართველოსი, ასი წლის განმავ-ლობაში რუსეთი სცდილობდა ეს ხმა ჩაეჩუმებინა და ნაწილო-ბრივ კიდევაც მოახერხა... მაგრამ აი მე 20 საუკუნეს ამ ხმამ მაინც მოაღწია ჩვენამდის, კიდევ გაისმა ის მთელი თავისი ეროვნული სიძლიერით და სიამაყით და დღეს ჩვენ წინაპა-რთა სიტყვებს ვიმეორებთ; ყოველივე გათავდა ჩვენსა და რუსეთს შორის, ჩვენი მათთან შერიგება აღარ შეიძლება.

დაამარცხეს ბატონიშვილი, იგი მოკვდა უცხოეთს, მაგრამ მისი ლანდი დამრწის კავკასიონის მთებში იორის ხეობაში, ალაზნის ნაპირებზე, შატილის და ჯარეგოს კოშკებზე...ყვე-ლა ჩვენ, ვინც ხმალი ამოვიღეთ სამშობლოსათვის, მთელი მებრძოლი საქართველო მის დიდებულ აჩრდილს გაყვება; და ამ აჩრდილს ვერ დაამარცხებს ვერავითარი მტერი, ის საბოლოოდ მაინც გაიმარჯვებს და მაინც იხსნის სამშობლოს!»

დასასრულ ბატონი კერესელიძე ამბობს, რომ ის არ ათა-ვებს თავის სიტყვას, არამედ ჩერდება ისტორიის წინაშე.

«გინიშნავთ პაემანს ახლო მომავალში მცხეთის ტაძარში, როდესაც შორეულ სპარსეთიდან გადმოვასვენებთ დიდებულ წინაპრის ნაშთს და გაგრატოვანთ საფლავთა შორის თავის მამის დიდი მეფის ერეკლეს გვერდით მივაბარებთ სამშობლო მიწას, — მაშინ იქ, იმ დიდებულ საფლავზე, — იმ საფლავზე რომელიც გარდაიქცევა სიმბოლოთ საქართველოდან რუსე-ბის საბოლოოდ განდევნისა, დავასრულებ ამ ჩემ სიტყვას.. და თუ იმ სანატრელ დღეს მე ცოცხალი აღარ ვიქნები, რო-მელიმე აქ მყოფი ახალგაზრდა ჩემ მაგიერ განაგრძობს მას.» მქუხარე ტაშმა დაფარა ბ. კერესელიძის სიტყვა.

საკონცერტო განყოფილებამ [illegible] მონაწილეობა მიიღეს: ჩვენმა მგოსანმა სიმონიკო ბერეჟიანმა წაიკითხა საკუთარი ლექსი : «ბატონიშვილს». შემდეგ თარის აკომპანიმენტით შე-ასრულა გრიშაშვილის: «ტრიოლეტები» და «ავლაბარი»· რამაც საუცხოვო შთაბეჭდილება დასტოვა და რამდენიმე ხნით მაინც თავი ძველ ტფილისში გვაგრძნობინა.

ქართულ საზოგადოებაში კარგად ცნობილი და პარიზის ოპე-რის მსახიობმა ბ. ნანობაშვილმა შეასრულა რამოდენიმე ქარ-თული სიმღერა.

მეთარე აგგარაშ დაუკრა ერეკლე მეფის საომარი მარში, რის შემდეგ გაიმართა ქართული ცეკვა, რომელშიც დიდ ძალ ახალგაზრდობამ მიიღო მონაწილეობა.

საღამოს ნამდვილი ქართული ელფერი ქონდა; მოგვაგონებ-და საყვარელ ტფილისში გამართულ საღამოებს.

აღსანიშნავია, რომ ბატონიშვილის საღამოს დაესწრო დიდ ძალი ხალხი, პარიზში მყოფი ყველა ქართველი პატრიოტნი. ისინი კი, ვინც მარტოვის და სხვა ურიათა საპატივცემო კრე-ბებზე დადიან, რასაკვირველია მათთვის უცხო და საქარ-თველოს «მოღალატე»ს საღამოზე არ მობრძანდენ. მათ იუ-კადრისეს პატივი ეცათ ამ დიდ ეროვნულ გმირისათვის; ჩი-ნებულად მოიქცენ ! ალექსანდრე ბატონიშვილს არ სჭირდება გადაგვარებულთა პატივი, ბატონიშვილს შეურაცყოფდა თაყ-ვანისცემა იმათი, ვისაც მარქსი სალოცავად გაუხდია და ვის ოთახებს ამ გერმანელ ურიის სიმახინჯე «ამშვენებს».

ქართველ მენშევიკებმა ბატონიშვილის საღამოზე არ მო-სვლით, ერთხელ კიდევ დაუმტკიცეს ქართველ საზოგადოე-ბის იმ მცირე ნაწილს, რომელსაც კიდევ სწამთ მენშევიკების ქართველობა, რომ მათ არაფერი ქართული არ აინტერე-სებთ არამედ გართულნი არიან საერთაშორისო საქმეებით, როგორიც არის ჩინეთის რევოლიუცია, ავსტრიის მუშათა პარტიის მდგომარეობა, ბალკანეთის სახელმწიფოთა დამო-კიდებულების მოგვარება, ინდუსტრიალიზაცია, სოციალიზა-ცია, პროვოკაცია, ჭორიკანიზაცია და სხვა ამგვარი საქმეები.

თეთრი გიორგიმ იდღესასწაულა ალექსანდრე ბატონიშვი-ლი სხვა გმირებზე უწინ იმიტომ რომ ის ჩვენი ისტორიული პერიოდის .გმირია, იგი ებრძოდა იმავე მტერს, რომელსაც ჩვენ დღეს ვებრძვით, და ამიტომ სულიერად მასთან უფრო ახლოს ვართ. თეთრი გიორგის ბრძოლა გაგრძელება იქნება ბატონიშვილის ბრძოლის.

ალექსანდრე ბატონიშვილი ეს დაუღალავი მებრძოლი საქა-რთველოს განთავისუფლებისათვის, მივიწყებული იყო, ბევრს უფრო ახსოვს სტენკა რაზინი და პუგაჩოვი ვინემ ბა-ტონიშვილი. ზოგს არც კი გაუგონია ამ გენიალურ პატრიო-ტის სახელი, რომელმაც მთელი სიცოცხლე სამშობლოს შე-სახურა და მასვე შეეწირა.

მხოლოდ წარსულ გმირთა კულტის აღდგენით შეგვიძ-ლია მივსცეთ ურყევი საფუძველი საქართველოს მომავალს.

მხოლოდ სახელოვან წინაპართა შესწავლით შეგვიძლია აღვადგინოთ დაცემული სული, ძველი რაინდობა და სიძ-ლიერე.

ბატონიშვილის, საააკაძეს და სხვებითა უმაგალითო გმი-რული ბრძოლანი ჩვენ გზას გვიკაფავენ, სასოწარკვეთილე-ბას გვაშორებენ და გვაძლევენ იმედს საქართველოს სანე-ტარო მომავლისადმი.

გ. სალია.



ბატონიშვილი ალექსანდრე — მეხუთე შვილი ერეკლე მეფისა.
დიდი მოწინააღმდეგე რუსეთთან შეერთებისა.
1800 წელს, ჯერ კიდევ 30 წლის ახალგაზრდამ დასტოვა სა-ქართველო და დაუკავშირდა ბაბა ხანს.
ვერაგ რუსეთის წინააღმდეგ პირ[illegible]ა ამოიღო ხმალი სამშობლოს დასაცველად და სიკვდილამდის ქარქაშში არ ჩაუგია.

ბატონიშვილი ალექსანდრე იყო ხელმძღვანელი 1802-4-6-8-12 და 1813 წლების აჯანყებებისა.
კავკასიის ყველა ერები მის გარშემო იკრებდნენ თავს.

1812 წელს, რუსეთიდან გამოყოფილმა კახეთმა, გვირგვი-ნი შესთავაზა. ბატონიშვილმა უარი სთქვა და ტახტზე გრიგოლ ბაგრატიონი გაამეფა.

1819-20 წლ. აჯანყებულმა და რუსეთს ჩამოშორებულმა იმერეთმაც მოიწვია იგი თავის მეფედ; მაშინაც უარი განაცხადა და ურჩია იმერეთს ვახტანგ ბატონიშვილის გამე-ფება.

ბატონიშვილი ალექსანდრე რამდენჯერმე ხელმ-ძღვანელობდა დაღესტნის აჯანყებებს. მეტად სახელოვა-ნი ბრძოლები ჰქონდა რუსების წინააღმდეგ 1913 წელს.

მიუხედავად ათასგვარ წყალობის დაპირებისა, იგი არ დამორჩილდა მტერს და 70 წლის გადაცილებული მოხუცი გარდაიცვალა ლტოლვილად სპარსეთში.

თავისუფალი საქართველო, სამუდამოდ ჩამოშორებული რუსეთს, მიაბარებს დიდებულ მამულიშვილს საკუ-თარ მიწას, სადაც განისვენებენ დიდი მეფენი :

— ბაგრატ დავითი გიორგი თამარ ერეკლე —

## ბატონიშვილს

ჩავაგეთ ხმლები ... შევურიგდა ანჩხლი ირანი ...
კრწანისის ველმაც დაივიწყა ბუკი, ნაღარა
და ძმობის ნიშნად გადაფურცლა მოლამ ყურანი,
ისკანდერ მირზას როცა მიწა გადაეყარა.

შუაღამისას ესტუმრება საფლავს ყორანი,
საქართველოში ვაჟკაცთ სისხლით რო გამაძღარა
და შეკაზმული დასჭიხვინებს თავზე მერანი...
— ბატონიშვილო, აღარ გარგებს ძილი, აღარა!—

პასუხს არ იღებს არც ხამარე, არც თეჰერანი
დღეს ქუდმოხდილი, გარიყული, მუნჯი, ვერანი.
— ბატონიშვილო! ჩრდილეთით მოსულ ავდარში,

გამავდა ჯვარი, დაიქანცა და მოიხარა
და შენი ხმალი მოქნეული, გადატყდა ტარში...
—ბატონიშვილო, აღარ გარგებს ძილი, აღარა !—

ს. ბერეჟიანი.

## პასუხი «ბრძოლას»

გაზეთი „ბრძოლა“, იმ უნაყოფო ბრძოლის შემდეგ, რომელიც მან ჯერ კიდევ საქართველოში რუსული საზელწოდებით გაჰწია და რომელსაც ეხლა აქ ეწევა ქართულ ქუჩქში გახვეული, ბერწი გვეგონა. საუბედუროდ დიაგნოზში მოვსტყუვდით. თუ ის გონებრივად მაინც განუკურნელ ბერწად რჩება, ფიზიკურად ნაყოფიერი გამოდგა: მას მოულოდნელად ეყოლა ნაბიჭვარი და ისიც დეგენერატი. ნაბიჭვარი დაბადებიდანვე მონათლა და უწოდა „ახალგაზდა სოციალ დემოკრატი“. როგორ შეემთხვა ეს ქალბატონ ბრძოლას? ცხადია ასეთ მატერიალისტს სული წმიდა არ ჩაესახსნებოდა და ეს საქმე მართლაც სულ მიწიერად და მატერიალისტურად მოხდა: ქალბატონი „ბრძოლა“ დაორსულდა მოსკოვში. შვილის დეგენერატოგაც ამით აიხსნება. ან კი როგორი უნდა გამოსულიყო საწყალი ბავშვი, როცა მამა რუსი ინტელიგენტი მაშამადამე ალკოჰოლიკი და დედა მენშევიკ-სოციალისტი ჰყავს. ნათქვამია: „დედა ნახე, მამა ნახე—შვილი ისე გამონახე.“

საწყალი „ბრძოლა“! როდის და სად გასვლია თავისი ხონური ხრიკები, თეთრ გიორგელებთან რომ გაუვიდეს? თვით არ უნდა ჩვენთან პოლემიკაში ჩაბმა სხვა და სხვა მიზეზების გამო და უფრო იმიტომ, რომ მთელი სხეული აზილეოსის ქუსლებათა აქვს ნაქცევი. მაგრამ უპოლემიკოთაც ვერ გაძლებდა. ისე ჩვეული პატრიოტების ლანძღვა თრევას, რომ წუწკ მელასავით სულ კბილები უწაკწაკებდა. ადგა და შვილი წამოგვისია. მაგრამ, უკაცრავათ ქალბატონო „ბრძოლა“, თვენ მოსკოვში ცუდი ყოფაქცევის ნაყოფს თავს არ გაუყადრებთ. არც ვამტყუნებთ მას ჩვენდამი თავხედურ გამოლაშქრებაში. —„ქვევრს ჩ ასძახე, იმასვე ამოგძახებს“ და თქვენმა შვილმა რაც უგრძანეთ ის დასწერა. თქვენი ხელი და სტილიც მეტად ეტყოვა მის წერილებს. ეტყოვა, შეპირდების წერილები გულმოდგინეთ შეგისწორებიათ. თქენს მიერ ჩვენი ლანძღვა, სრულიად არა გვწყინს და ამას არ გისაყვედურებთ. პირიქით, ჩვენ გვეწყინება თქვენ რომ გვაქებდეთ და მოგწონდეთ.

ჩვენ გისაყვედურებთ და გულწრფელად თქვენ, ხანში შესულ სოციალ დემოკრატებს, რომ ასე შეუბრალებლათ რყვნით ახალგაზრდობას, იმის მაგიერ, რომ ევროპაში შეას წავლოთ რაიმე ახალი, რაიმე ქვეყნისათვის სასარგებლო თქვენ მათ უნერგავთ იმავე დემაგოგიას და იმავე მიტინგურ ყაიდას, რომლითაც თქვენ მოსწამლეთ ჩვენი ქვეყანა მთელ 35 წლის განმავლობაში. მართალია თავის დროზედ თქვენ თქვენმა უფროსებმა ისევე გაგრყვნეს ისეც არტახებშივე (არ არის არც ერთი მაგალითი რომ ვინმე ოც წელსგადაცილებული გასოციალისტებულიყვეს) მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს რომ თქვენ თქვენ მზრივაც ასევე უნდა მოიქცეთ

მართლაც აბა დაუკვირდით ეს საწყლები როგორ იმეორებენ თქვენ სიტყვებს. ამ ოც და ხუთი წლის შინეთ თქვენ ყვიროდით და სწერდით ფედერალისტებზე: ფედერალისტები თავად აზნაურობის პარტია, მათ სურთ ფეოდალობის აღდგენა, ისინი ხალხის მტრები არიან და ხზვა დღეს კი იმავე პედერალისტებს გვერდში უსხედხართ როგორც შეყვარებული მტრედები და მათთან თანამშრომლობთ ანუ ხწორეთ რომ ვსთქვათ ჩხირკედელაობთ

„ეროვნულ დემოკრატები თავადების და ბურჟუების მომხრენი არიან; ეროვ. დემ. გლეხების მტრები არიან! ერ. დემ. ღვდლების გაბატონება სურთ!!!“... გაჰკიოდით მიტინგებზე დიდი ხანი არ არის მას აქეთ. ეხლა კი ეროვნულ დემოკრატებთან თანამშრომლობთ

და აი, თქვენი შვილები თუთიყუშებივით იმეორებენ თქვენ დემაგოგიურ ფრაზებს ჩვენს წინააღმდეგ: „თეთრი გიორგი ხალხის მტერია! თეთრი გიორგი დემოკრატიის მტერია, ფაშიზმის მოხრეა და სხვა და სხვა· რას ნიშნავს ყოველივე ეს? არც ფედერალისტებს, არც სოციალ რევოლუციონერებს ერთი სიტყვაც არ შეუცვლიათ თავის პროგრამაში მაშ როგორ მოხდა რომ ქვეყნის ამისთანა მტრებთან თანამშრომლოგთ? ეხლა დემაგოგოგთ თუ მაშინ? მაგრამ ეხლა თუ წინეთ ეგ სულ ერთია. საქმე იმაშია რომ ყოველივე აქიდან ერთი უტყუარი და ჭეშმარიტი დასკვნა გამოდის: უსათუოთ დემაგოგები და ქვეყნის მატყუარები ხართ, რადგან ან მაშინ ატყუებდით ან ეხლა ატყუებთ ქვეყანას და ხალხს უფრო სწორი და ნამდვილი კი ის არის რომ მაშინაც და ეხლაც მატყუარები ხართ ყველგან და ყველას წინაშე. და საუბედუროდ თქვენი ნაბიჭვარიც თქვენს გზას მიჰყვება. მაგრამ გაჰყვეს. მოსკოვში შექმნილი გუში საქართველოსთვის ზედმეტი ხორცია. საქართველოს სულიერ და ეკონომიურ აღორძინებისთანავე ისტორია თქვენც და თქვენს შვილსაც მიწას მიგაყრით. დასასრულ ერთ რამეში გაფრთხილებთ: აღარ გაუშვებს თქვენმა ნაბიჭვარმა პოლემიკის გერძო ნიადაგზე გადატანა და პიროვნებების წინააღმდეგ გამოლაშქრება. პოლიტიკური კამათი იდეათა შეხლათა ფარგლებში უნდა დარჩეს. სამგლე გოჭებივით ნუ ატეხილან, თორემ იმ თავის ამგავი დაემართებათ, რომელმაც თხარა თხარა და კატა გამოთხარა.

მ. სოხაძე.

## თეთრი გიორგის წინადადება

»თეთრი გიორგი»აქამდის საზალხოთ არ გამოეხმაურა ბ.რამიშვილის ცნობილ წერილს, იმ იმედით, რომ მთავრობა თვით მიიღებდა საჭირო ზომებს თავისივე წევრის მიერ ჩადენილ ბოროტმოქმედების დასასჯელად. გავიდა თითქმის ერთი თვე და მთავრობა სდუმს თუ ესდუმილი გაგრძელდა ქართველ ერს უფლება ექნება იფიქროს, რომ მთავრობა ხელს აფარებს გ.რამიშვილის მუხანათობას და ეს წერილი ნაკარნახევია თვით მთავრობის მიერ: მით უმეტეს, რომ ახლად გამოქვეყნებული ბ.მთავრობის თავჯდომარის წერილი სრული კონფირმაციაა გ.რამიშვილის მუხანათობისა და საშინელ ჩირქსა სცხებს იმ თანამდებობას რომელსაც ის ატარებს

«თეთრი გიორგის»ორგანიზაცია აღნიშნავს ქვემოთ ჩამოთვლილ მუხლებით ბ. ნ. რამიშვილის ბოროტმოქმედებას ერის წინაშე:

1.-საერთო ფრონტის შელშეკრულებისადმი ღალატს.

2.-ფიქტიურ ორგანიზაციის მოწყობას სასურველ პირთა ზურგის გასამაგრებლად.

3.-საქართველოში სამოქალაქო ომის მომზადებას, რაც უდიდესი ღალატია სამშობლოსადმი.

4.-მომავალ საქართველოში კლასოვრივ დიქტატურის დამყარების სურვილს, რის განხორციელებაც და განმტკიცება შეიძლება მხოლოდ ტერორის საშვალებით.

5.-საუკეთესო მამულიშვილთა უსაზიზღრეს ცილის წამებას.—

ან ყოველივე ეს დანაშაულოვანი მთავრობამ უნდა აიღოს თავზე და ატაროს მისი პასუხის მგებლობა ისტორის და საქართველოს წინაშე, ან უნდა სისრულეში მოიყვანოს შემდეგი:

1.-დაუყოვნებლივ იყოს მთავრობიდან გადაყენებული გ.ნ.რამიშვილი და საბოლოოთ ჩამოშორებული საერთო ფრონტის ყოველგვარ საქმიანობას.

2.-გაზეთ «დამოუკიდებელ საქართველო» ში და «ბრძოლა» ში დაბეჭდილ იყოს მთავრობის და საერთო ფრონტის სახელით გ.რამიშვილის გაკიცხვა.

3.-დაუყოვნებლივ მოხდეს საერთო ფრონტის რეორგანიზაცია, რომელიც მოსპობს დამღუპველ პარტიის დიქტატურას და დაამყარებს ეროვნულ ძალთა ჭეშმარიტ თანამშრომლობას თანასწორობის ნიადაგზე. ამ მიზნისათვის დაუყოვნებლივ შესდგეს კომისია ყველა ქართულ პარტიათა და პოლიტიკურ ჯგუფთა წარმომადგენლების და ცნობილ საზოგადო მოღვაწეთაგან.

ამ მოთხოვნილებათა დაუკმაყოფილებლობა იქნება ბ.რამიშვილის მუხანათობის დადასტურება, რასაც შედეგათ მოყვება ეროვნულ ძალთა დაყოფა, ერთმანეთზე ამხედრება და სამოქალაქო ომი. ამაზე მეტს სამშობლოს ღალატი ვეღარ წავა.—

მთავარი მდივანი:

ვ.ციცქიშვილი.

პარიზი, 21 მკათათვე 1927 წ.

---

გ.რამიშვილის წერილის გამო.

საქართველოს მთავრობის წევრებმა ბ.გ.გეგეჭკორმა და კანდელაკმა გადასცეს ბ-ნ ლ. კერესელიძეს გ. რამიშვილის განცხადება, რომ მის მიერ საქართველოში მიწერილ ცნობილ წერილში შეცდა გ კერესელიძის შესახებ და არის მზად მის წინაშე ბოდიში მოიხადოს, მაგრამ განა ამით შეიძლება- ნაკლებ შეურაცყოფილად იგრძნოს გ.კერესელიძემ თავი როცა საუკეთესო მამულიშვილნი შეურაცყოფილნი არიან?

---

## ბოლშევიკებზე

გვეკითხებიან, რატომ ბოლშევიკების წინააღმდეგ არა ვწერთ ხშირათ «თეთრი გიორგი»-ში.

იმიტომ რომ ჩვენ ზოგიერთ პოლიტიკურ პარტიების დაგვარად ეროვნულ ბრძოლის სიმძიმე პარტიულ ნიადაგზე არ გადაგვაქვს. სხვები ამას იმიტომ სჩადიან რომ საქართველოს ეროვნულ პრობლემას ინტერპარტიულ ბრძოლის საგნად სახავენ და ამით ჩვენ დიდ ეროვნულ ბრძოლას სამოქალაქო ბრძოლის ხასიათს აძლევენ და ამით ამცირებენ მას თავის პარტიულ ინტერესების გულისათვის.

მემარცხენენი ერიდებიან საქართველოს რუსეთთან დაპირდაპირებას რათა არ აწყენინონ რუსეთის დემოკრატიას მემარჯვენენი ამავე ტაქტიკით იქცევიან რუსების მემარჯვენეთა მიმართ- თ.გ. არის ნამდვილი ქართული ორგანიზაცია წარმოშობილი ეროვნულ შეგნების და ეროვნულ ბრძოლის პროცესში და ამიტომ ის ატარებს ნამდვილ ეროვნულ სულს და ბრძნულათ აქვს შეგნებული ეროვნული ინტერესები- ჩვენ ვიცით რომ საქართველოს მტერი რუსეთის ესა თუ ის რეჟიმი კი არ არის არამედ რუსის ხალხი და სახელმწიფო- ჩვენ ვიცით რომ საქართველოს და რუსეთ შუა 126 წლის ბრძოლის პროცესში შეხლილია არა ამ ორ ქვეყნის რეჟიმები არამედ მათი ეროვნული და სახელმწიფოებრივი ინტერესები. რუსეთის სახელმწიფოს ინტერესია კავკასიის დაპყრობა და მის გაზათ გაზდა შუა აზიისკენ გასაზრდელათ და საქართველოსი კი დამოუკიდებლობის და ტერიტორიის დაცვა შემოსეულ მხეცებისაგან. ამიტომ ჩვენ ქართველი ხალხის წინაშე ვამჟღავნებთ და უჩვენებთ მის ნამდვილ მტერს. ერს მხოლოთ მაშინ შეუძლია ნაყოფიერად ბრძოლა, როდესაც იცის ვინ არის მისი მტერი და რას წარმოადგენს ის.

მაშასადამე რა უნდა დავწეროთ ჩვენ რუსის ბოლშევიკებზე? ისინი რუსის დემოკრატებზე, რუსის სოციალისტებზე და რუსის მონარქისტებზე მეტი მტერი არ არიან საქართველოსი. ჩვენთვის რუსეთში რა რეჟიმი იქნება სულ ერთია. რაც შეეხება ქართველ ბოლშევიკებს, რა უნდა დავწეროთ ამ სამშობლოს გამყიდველებზე, ამ იუდა ისკარიოტლებზე; ამ გათახსირებულ მუხანათებზე, ამ ეროვნულ ნაგავზე და ჩირქზე? თუ არა ის, რომ ჩვენ ღრმად გვწამს: ახლო მომავალში ქართველი ხალხი იმათ მაღლებიპით ჩამოახრჩობს.

## ემიგრანტის დღიურიდან

1926 წელი. 10 ივნისი. ნაშუადღევის 4 საათი.

პარიზის სასამართლოს წინ, აუტოს გაღებულ ფანჯარაში ქართველ ახალგაზრდამ გაჰყო თავი. მშვიდათ შეეკითხა:

— გაქვთ რევოლვერი? დაიცავით თავი!

— რას სჩადი ავთანდილ?!

პატარა ბრაუნინგმა სამჯერ დაიძახა და სასიკვდილოდ დაჭრილი, დაეშვა მეუღლეს და „პირად მდივნის“ მკლავზე.

13 ივნისი. კვირა.

წვიმს... მონპარნასის უბანი სავსეა „ამხანაგებით“ საღილეში წითელი დროშები უკეთიათ. გამვლელ-გამომვლელთ ლენინის სურათს სთავაზობენ. გამოჩნდა ბალდახინი წითელ ყვავილებში ჩაფლული. პროცესია სასაფლაოს მთავარ კარებში შევიდა და... საფრანგეთის მიწას ქართველი მიაბარეს. ამ, ოდესღაც გადაჭარბებულ პატრიოტს, ჭირისუფლად მე 3 მე ინტერნაციონალის მოტრფიალენი და რუსეთის ბოლშევიკური საელჩო გამოუჩნდა. „ინტერნაციონალის“ და „თქვენ მსხვერპლად დაეცით...“ რუსულ ენაზე სიმღერით დაიშალენ ჭირისუფალნი, რომ შემდეგში არასდროს მოაკითხონ მათთვის უცხო საფლავს.

დღეს ვინახულე. წითელი ყვავილები უკვე გადამყარათ... შავ ფიცარზე — ფრანგული წარწერა:

« გრიგოლ ვეშაპელი. 35 წლისა. »

ჩავფიქრდი; რისი თქმა უნდოდათ ასეთი მოკლე წარწერით? იქნებ სინანულის, რომ ასე ახალგაზრდა გამოესალმა წუთისოფელს; იქნებ აღნიშვნა იმისა, რომ თუმცა მოკლე იყო შენი ჩვენთან ყოფნა, მაგრამ საქმენი შენი ურიცხვი ვიგონებ, ვისაც მიწა აყრია: მძიმე, მალული შემოხედვა. მაგრად დამუწული წვრილი ნახაზი ტუჩებისა, მაჩვენებელი ჯიუტობის, ენერგიის, ფიქრის და ნიჭისა. ვიგონებ დამფუძნებელ კრებას და მის ცხლიან წერილებს და ვამბობ: მართლაც ნიჭიერი იყო. მაგრამ თვალთ ჩამივლის მისი ბიოგრაფია: — ოდესღაც ვეშაპოვ,

ოდესღაც სოციალ დემოკრატი,

შემდეგ ფედერალისტი,

ნაციონალ-დემოკრატი,

კლდისტი,

შემდეგ? და შემდეგ, იმის შემდეგ რაც აჯანყება ტყვიის ფრქვევლებით გადაცელეს, ეს «ნიჭიერი პიროვნება» ახალი საქართველო სტუ ხდება და უსასტიკეს ჯალათს, რომელმაც თავისი აღმზრდელიც კი არ დაინდო, მიაშურებს და ფუფუნებას მიცემული, გრენელის ფულებით გამოცემულ «ახალი საქართველო»-ში, ემიგრაციის ლანძღვას იწყებს. მაშინ, როცა „მკვლელი“ უარს ამბობს დანაშაულებაზე, ემიგრანტი ხდება და ტყვიით უმასპინძლდება ამ უდიდეს და ცხელით სავსე კარიერისტს.

1927 წელი. 6 - 7 - 8 ივნისი პროცესის დღეები.

ქართველ ემიგრანტმა, უცაბედათ შავ კატას კუდზე ფეხი რო დაადგას და თუ პატრონი კომუნისტი გამოდგა, აუცილებლივ უჩივლებს და ასეთ პატარა, პირად შემთხვევაში, ბრალმდებელი, მეტადრე თუ ბ. ტორესია, აუცილებლივ საქართველოს საელჩოს და მთავრობას ჩარევს შიგ. საქმე გრანდიოზულ და საქართველოსათვის საპროპაგანდო ხასიათს მიიღებს.

მაგონდება ერთი შეკითხვა ბ. ტორესისა: — იყო თუ არა საქართველოს ყოფილი მთავრობა თავიდანვე დამოუკიდებლობის მომხრე?

მოწმე: — მე ძლიერ კარგად ვიცნობ ჩემს მეგობრებს და ისინი არასდროს არ უღალატებდენ რუსეთის დემოკრატიას კომუნისტებს რომ არ აეძულებიათ.

მოწმე, ბ.-ნი რენოდელი გაზრდათ.

საღამოს გაზეთი „იყიდე. «ლიბერტე»-ს ნიჭიერი ჟურნალისტი ასე დაასკვნის პროცესს: — საქართველოს სამი უბედურება სჭირს: 1) მეტად ლამაზი და მდიდარი კუთხეა, 2). რუსეთთან ახლოს იმყოფება და 3). სოციალისტები გამოდიან იმის დასაცავად. —

ს. ბ—ანი.

Rédaction : Thethri GUIORGUI
19, Rue Roger,, 19 — PARIS (14e)

ყ უ რ ა დ ღ ე ბ ა!

თუ გსურთ ჯანის სიხაღე და შეღავათიან ფასებში გემრიელიდა ნოყიერი საუზმე, მოითხოვეთ ყველგან:

ჩვენებური მაწონი, ქართული ყველი, ხაჭო

მშრალი მაწონი

GUEMO „-ს მარკით მიიღება შეკვეთები სახლში მიტანით. ფირმა „ GUEMO “ხელსაყრელია ყველასათვის სასარგებლო ჯანისათვის მოითხოვეთ ყველგან მარკა GUEMO

5, rue Roger, 5.

სარჯველაძე.

Imprimerie P. et A. DAVY, 52, rue Madame, Paris.

Le Gérant : Félix Kaldenpach.